საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

ბრძანება №44

2020 წლის 24 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ " საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 30 მარტის №33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 30 მარტის №33 ბრძანებით (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 30/03/2017, სარეგისტრაციო კოდი: 130070000.63.075.016052) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების:

1. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}" ქვეპუნქტი:

„ბ^{1}) ახორციელებს იზოლატორში მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოების პროცედურების დაცვაზე კონტროლს ;".

2. მე-17 მუხლის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) იზოლატორის მოსამსახურეებს აცნობს ბრძანებებსა და მითითებებს, კონტროლს უწევს იზოლატორში საქმისწარმოების განხორციელებას;".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი — **გრიგოლ ლილუაშვილი**